ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 3

ქალაქი ქუთაისი 30 ოქტომბერი 2025 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის არჩევის
შ ე ს ა ხ ებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 28-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის 43-ე მუხლის საფუძველზე:

მუხლი 1. არჩეულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარედ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ჯემალ ბიბილეიშვილი.

მუხლი 2. დამტკიცდნენ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის წევრებად:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, კობა ფხაკაძე
2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბესიკ ჩეჩელაშვილი

მუხლი 3. დაევალოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელ დროებით კომისიას უხელმძღვანელოს საკრებულოს სხდომაზე კენჭისყრის პროცესს. თვალყური ადევნოს და დაითვალოს ხმები საკრებულოს სხდომაზე გამართული ღია და ფარული კენჭისყრების დროს, უზრუნველყოს თანამდებობაზე პირის არჩევისათვის ფარული კენჭისყრის ჩატარება, ფარული კენჭისყრის შედეგების შეჯამება, ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის სხდომის ოქმის შედგენა და წარდგენა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომისათვის.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელმა დროებითმა კომისიამ თავისი უფლებამოსილება განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის ფორმირებამდე.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს პირველი
სხდომის თავმჯდომარე _____ მარეხ ნიბარაძე

საქართველო ქ. ქუთაისის
საკრებულო
გას. №--3---
..-3-" -----11-----2025 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი
საკრებულო